ანზორ გვარამია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რასაც ზვიად გამსახურდია ამბობდა, ყველაფერი მართალი გამოდგა

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

1992 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1-ს ძმას გამსახურდიას

მოკრძალებით

ა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რასაც ზვიად გამსახურდია ამბობდა, ყველაფერი მართალი გამოდგა

**საქართველოში** მომხდარი სამხედრო გადატრიალების უარყოფითი, მომაკვდინებელი შედეგები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის დიდი მატერიალური ზარალი, რაც სამხედრო გადატრიალებამ დაატეხა საქართველოს, მის მოსახლეობას. ეს გახლავთ დანგრეული რუსთაველის პროსპექტი, აოხრებული სამეგრელო, გაძარცვული კახეთი და სხვა კუთხეები, გატაცებული ავტომანქანები, „შეწირული" თანხები და ა. შ. გარეშე მტრებისაგან აოხრებული საქართველო ყოველთვის გამართულა წელში და მატერიალურ ზარალს ამჯერადაც ეშველება.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება მორალურ-ფსიქოლოგიური ზარალი, რომელმაც დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა ჩვენს ერს. მან ბევრ პატიოსან ქართველს ისიც კი ათქმევინა, ნეტავ ქართველები არ დავბადებულიყავით. ამ ზარალის გამთელება და აღდგენა გაცილებით ძნელია, ვიდრე მატერიალურისა. ამას დღეს პრეზიდენტის ბევრი მოწინააღმდეგეც გრძნობს, მაგრამ პატივმოყვარეობა არ აძლევს იმის საშუალებას, რათა აღიარონ სამხედრო გადატრიალების უაზრობა და საკუთარი მამულისადმი მტრობის გამოვლინება. აქ ისიც სათქმელია, რომ პრეზიდენტის ყოფილი ოპოზიციონერთაგან ბევრმა სწორად შეაფასა დატრიალებული ტრაგედიის სწორედ მორალურ-ფსიქოლოგიური მხარის უარყოფითობა. ამ კატეგორიის ხალხი დღეს ბ-ნ ზვიადის მომხრეებს უერთდებიან თანდათანობით. იმ მხარის, ე. ი. მოწინააღმდეგეებს, უერთდება თითო-ოროლა კაცი: ბუნებით მოღალატე, თანამდებობას დახარბებული, 30 ვერცხლზე გაყიდული და ა. შ.

მორალურ-ფსიქოლოგიური ზარალის რაობაზე ტომებია დასაწერი უსათუოდ. მინდა რამდენიმე მომენტს შევეხო და ამჯერად ამით დავკმაყოფილდე.

1. რა მიმართებაშია ჩვენთან მომხდარი სამხედრო გადატრიალება სხვა ქვეყნების სამხედრო გადატრიალებებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე? ამ მხრივ გასაოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე. უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში მომხდარ სამხედრო გადატრიალებებს საფუძვლად დაედო შიში ამ ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის დამყარებისა, რაც

სსრკ-ს მიერ იყო ინსპირირებული, როგორც კი ანტიკომუნისტურმა ძალებმა ეს საშიშროება იგრძნეს (ამ ქვეყნების მთავრობების ალიანსი სსრკ-თან) სამხედრო გადატრიალებას მიმართეს. თუმცა არც ამგვარი და არანაირი ხასიათის სამხედრო გადატრიალების გამართლება შეიძლება, როგორი ხასიათისა იყო საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალება? იგი, პირიქით, კომუნისტური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებდა, არა აშკარად, მაგრამ მიზანი სწორედ ეგ გახლდათ. კანონიერი ხელისუფლების გადევნის შემდეგ მიზანმა ხორციც შეისხა. თანამდებობები თითო-ოროლა ყოფილი დისიდენტის გარდა სწორედ ყოფილმა კომუნისტებმა და მათმა ლაქიებმა გაინაწილეს. სახელმწიფოს სათავეშიც სწორედ ყოფილი კომუნისტი, სოციალიზმის იდეოლოგიით, სულით ხორცამდე გამსჭვალული ე. შევარდნაძე დაჯდა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ, რაც არ უნდა გარდაქმნილიყო შევარდნაძე, მისი „აღდგენა" მაინც მიიჩნიეს და აღიქმება როგორც ძველი რეჟიმის აღდგენა. აი, სწორედ ეგ გახლავთ ყველაზე სამარცხვინო, რამაც სახელი გაგვიტეხა მსოფლიოს თვალში, ე. ი. რამ გაგვიტეხა სახელი? იმან, რომ დამხობილი კომუნისტური რეჟიმი ისევ აღდგა. არადა გაუგონარი სიმამაცე ჩაიდინა „მრგვალმა მაგიდამ" და მისმა ლიდერმა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, მან მსოფლიოში პირველმა დაამარცხა კომპარტია დემოკრატიული წესით. თუ უცხოეთის ქვეყნებში, კომუნიზმს სამხედრო გადატრიალებებით, შანტაჟებით, ტერორითა და სხვა ანტიდემოკრატიული მეთოდებით ეომებოდნენ, ჩვენთან „მრგვალმა მაგიდამ" კომუნისტებზე დემოკრატიული მეთოდებით გაიმარჯვა. გამომდინარე აქედან უნდა ითქვას: რაც არ უნდა წვრილმანი შეცდომები მოსვლოდა მას და კანონიერ პარლამენტსაც, იგი სამხედრო გადატრიალებით არ უნდა დამხობილიყო. კომუნისტური პარტიის დამარცხება სწორედ ქართველებმა ვასწავლეთ ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებს და ამჟამად კი მის რეანიმაციის მაგალითსაც ჩვენ ვაძლევთ მათ. აი, ეგ გახლავთ ყველაზე სამარცხვინო მხარე სამხედრო გადატრიალების მორალურ-ფსიქოლოგიური შედეგებისა, რამეთუ მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში წამიერად გავიელვეთ როგორც ავანგარდისტებმა, ხოლო წელიწადნახევრის შემდეგ სრულიად საპირისპირო ჩავიდინეთ. ცხადია, ამით თავი შევირცხვინეთ მსოფლიოს წინაშე.

2. მსოფლიოს თვალში თავის შერცხვენა სხვა ასპექტითაც განიხილება. დღეს ქართველი ერი აღქმულია როგორც ღალატის, შინა-

აშლილობის, კინკლაობის, ურთიერთგაუტანლობის დიდოსტატი. მართალია, ეს ითქმის ერის მცირე ნაწილზე, მაგრამ რაკი სამხედრო გადატრიალებამ მსოფლიო რეზონანსი მიიღო, მთელი ერი ვართ გალანძღულები. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ამიტომ[illegible] უნდა ავშლილიყავით. დღეს დასავლეთი თანდათანობით იღებს სწორ ინფორმაციას საქართველოზე, მაგრამ არც ესაა დიდად გასახარელი იმ გაგებით, რომ ადრე საქართველოდან მათთვის მიწოდებული ცრუ ინფორმაციაც სწორედ ქართველების ხელითაა შედეთითხილი. ერთი სიტყვით, მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში ქართველ ერს მისმავე ერთმა ნაწილმა მოჭრა თავი.

3. მორალურ-ფსიქოლოგიური ზარალის ერთ-ერთი მხარეა ნდობის დაკარგვა საქართველოს არაქართველ მოსახლეობაში. იმ დროს, როცა საქართველოში კომპარტია დამარცხდა, არაქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთგვარი სიმპათიითაც განეწყო ჩვენს მიმართ და ძალზე ბევრი ჩვენთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ როცა კანონიერი ხელისუფლება გახდევნილ იქნა იარაღის ძალით, ბევრმა არაქართველმა ზურგი შეგვაქცია, ბევრი მათგანი დაგვცინის კიდევაც. ქართველების მიერ ერთმანეთის არდანდობამ მათ შიშიც გაუჩინა, სულერთიანობის სენით დაავადა, საქართველოს მოვლის სურვილიც დაუკარგა.

4. ყველაზე დიდ უბედურებად შეიძლება ჩაითვალოს რწმენის დაკარგვა. დღეს ერს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უბრალო ხსენებაც არ სურს, ვინაიდან სწორედ ისინი აღიქმება სამხედრო გადატრიალების ინსპირატორებად. მათ ხელიდან გაუსხლტათ სადავეები და სამხედრო გადატრიალების შემდეგ თითქოს მიიმალნენ კიდევაც. განა შეიძლება იბრძოდე ხელისუფლების წინააღმდეგ, როცა შენი ლიდერი არ გყავს, და გამარჯვების შემთხვევაში მისი შეცვლის უნარი არ შეგწევს. ამით ისარგებლა ძველმა კომუნისტურმა „გვარდიამ“ და მისი სახელმწიფო მმართველობაში მოსვლით დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა მთელს ერს. სხვას რომ თავი დავანებოთ, განა შეიძლება სახელმწიფო საბჭოდან რჩევას იძლეოდეს მწერლად ცნობილი ჭ. ამირეჯიბი, რომელსაც თურმე 1957 თუ 58 წელს ყოფილი პოლიტპატიმარი, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კაცი დაუსმენია და დაუბეზღებია. როგორ ურიგდებიან ამ და კიდევ მრავალ! ამის მსგავს ფაქტებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხმის ჩახლეჩამდე გაიძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდნენ, გამსახურდია დიქტატორია და ხელისუფლებაში დემოკრატები გვინდაო. ახლანდელ საბჭოში მოკალათებულთ განა დემოკრატებად თვლიან? აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ავადმყოფური, პიროვნულ-ტენდენციური დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ. მათ, წინასწარ, არჩევნებში გამარჯვებამდეც მონათლეს ზვიად გამსახურდია დიქტატორად. არადა, ანდაზის არ იყოს, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე საიდან უნდა ცოდნოდათ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს დიქტატორი იქნებოდა იგი თუ არადიქტატორი?

5. ამჟამად პრესითა და ტელევიზიით კვლავ გრძელდება ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ლანძღვა, რაც აკნინებს და აქვეითებს ქართველი კაცის პრესტიჟსა და ზნეობას. ჯერ იყო და პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება იარაღით განდევნეს, ახლა გაუგონარი ლანძღვით ებრძვიან, ვინაიდან პოლიტიკური მეთოდებით უმწეონი არიან მათ წინააღმდეგ. ეს გარემოებაც სავსებით გასაგებია, ვინაიდან სიმართლე მლანძღველთა მხარეს არაა. აი, ერთი მაგალითი. ამ რამდენიმე თვის წინათ გ. ხაინდრავამ პრეზიდენტს „პოლიტიკური ლეში“ უწოდა. მართლაცდა ცოდვის კითხვა არაა! აი, მე პირადად ე. შევარდნაძის პოლიტიკური მოწინააღმდეგე გახლავართ, მაგრამ მის ლანძღვაზე არასოდეს გადავსულვარ. თუ სახელმწიფო მოღვაწის კურსი არ მომწონს, შეიძლება ვაკრიტიკო იგი, მაგრამ ლანძღვაზე თუ გადახვედი, ამით ის, რომ უმწეო ხარ, ან მართალი არა ხარ, პირადი ანგარიშსწორებითა ხარ გამსჭვალული. ვინც დღეს გაუთავებლად ილანძღება პრესითა და ტელევიზიით, დაღუპვისკენ მიაქანებს ჩვენს ახალგაზრდობას მისთვის უკეთური და ავი ზნის მაგალითის მიცემით. პასუხად, ალბათ, გვეტყვიან: ზვიად გამსახურდიაც ხომ ზოგიერთებს სუკისა და კრემლის აგენტებს უწოდებდაო. ჩვენ მათ წინასწარ ვპასუხობთ: ვისაც რას ეძახდა და რასაც ამბობდა, ყველაფერი მართალი გამოდგა! ეს არის სიმართლე.

6. სამხედრო გადატრიალებას მოჰყვა ტომობრივი შუღლი საქართველოში, რაც მორალურ-ფსიქოლოგიური ზარალის ერთ-ერთი და ყველაზე დამღუპველი ფაქტორია ერისთვის. მოგეხსენებათ, რომ ქართველი ერი, როგორც სხვა დანარჩენი ერები, ტომებისაგანაა შემდგარი, მათი გაერთიანების საფუძველზეა ჩამო-

ყალიბებული. ზვიად გამსახურდიას წასვლის შემდეგ სახელმწიფო საბჭოში გაერთიანებული პიროვნებების გარშემო მხარდასაჭერად მოგროვდნენ ადამიანები კუთხური ნიშნის მიხედვით. ეს... მოება მომაკვდინებელია როგორც ცალკეული ტომებისთვის, ასევე მთლიანად ქართველი ერისთვის. რა გამოგვიყვანს ამ ჩიხიდან? მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის დაბრუნება. ზვიად გამსახურდიას, მამით კოლხს და დედით იბერს, ყველაზე მეტად შესწევს უნარი ქართველი ერის გამთლიანებისა. იგი თუ უმოკლეს ხანში არ დაბრუნდა საქართველოში, ჩვენს ერს ტომობრივი დაშლის საშიშროება ემუქრება. ნუ წამოვეგებით, ქართველურო ტომებო, იმპერიის ანკესზე! საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრი ლეჩხუმელი თუა, ლეჩხუმელებს უყრის თავს მხარდამჭერად, ქართლელი — ქართლელებს და ა. შ. ან მოუტანს ამგვარი ტენდენცია ქართველ ერს სიკეთეს!

7. სამხედრო გადატრიალების შემდეგ ერის უდიდესი ნაწილი გულგატეხილია, იგი გულდადებით ვერ შრომობს. თუ არა ქართველი კაცის გამოჯე შრომა. ეკონომიკას ვერც სესხი უშველის და ვერც დროებითი დახმარება სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე- [illegible]. ამგვარად გულგატეხილობა ნორმალურ-ფსიქოლოგიური ხალხის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი გახლავს.

8. გულისამრევი და უკიდურესად არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის, ერს რყვნის, განსაკუთრებით ახალგაზრდობას აძლევს ცუდ მაგალითს ყველა სიავის პრეზიდენტის მომხრეებზე გადაბრალება. საკმარისია სადმე ავტობუსს საბურავი გაუსკდეს, ან ელექტროდენის გამოთიშვით მატარებელი გაჩერდეს და... ტელევიზია უმალ აწვდის ინფორმაციას მაყურებელს: ეს პრეზიდენტის მომხრეებმა ჩაიდინესო. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ პრესითა და საქართველოს ტელევიზიით კომუნისტების დროსაც არ გადაცემულა ამდენი სიცრუე და სიყალბე, ყოველივე ეს ჰქმნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, ერთგვარ სტრესებს, იწვევს ხელჩაქნეულობის მომენტებს.

9. 1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა ბრძანება გამოსცა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ იარაღის ჩაბარების თაობაზე. იგი მაშინ რომ შესრულებულიყო, დღეს უეჭველად მშვიდობა იქნებოდა საქართველოში. რაკი ქართული შეიარაღებული ფორმირებები არ დაემორჩილნენ პრეზიდენტს და არ შეასრულეს მისი ეს ბრძანება, არაქართულმა უკანონო შეიარაღებუ-

ლმა ფორმირებებმაც მათ მიბაძეს, ისინი პირიქითაც [illegible] გაზარდეს თავიანთი რიგები და სამხედრო ტექნიკის [illegible]. ყოველივე ეს კატასტროფამდე მიიყვანს როგორც ქართველებს, ასევე არაქართველებსაც. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართველთა და არაქართველთა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები ერთმანეთს ხოცავენ.

10. ერის ფსიქიკაზე გამანადგურებლად მოქმედებს ის თვალთმაქცური თამაში, რომელსაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ეწევიან. ისინი ხალხის თვალში რეაბილიტაციის მიზნით სახელმწიფო საბჭოს წევრებსაც უპირისპირდებიან, რაც ფარისევლურ ქმედებად აღიქმება. ამ პარტიების ლიდერებს სურთ ხალხს დაუმტკიცონ: ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ტენდენციურად არ ვიბრძოდითო. აი, ხომ ხედავთ სახელმწიფო საბჭოსაც ვებრძვითო. ყოველივე ეს ეშმაკური გარიგებაა და სხვა არაფერი!

11. ქართველი ერის პრესტიჟს ძალიან აქვეითებს საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალების სინდრომი, რაც დღეს საქართველოში დგას. სამხედრო გადატრიალებით მიყენებულ ზარალს, როგორც მატერიალურს, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიურს ცალკეული პიროვნებები აქეთ აბრალებენ პრეზიდენტსა და მის ხელისუფლებას. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ხალხი ყოველთვის ხედავს, სწორად ხედავს იმას, თუ ვის მხარესაა სიმართლე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სახელმწიფო საბჭოს დამცველი და მხარდამჭერი ყოფილი დისიდენტები, რომლებიც რაღაც 1-2 წლის წინათ და ადრეც კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდნენ. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ ხელისუფლებას უკანონოსაც კი უწოდებენ, ხოლო სახელმწიფო საბჭოს, რომელიც ყოფილი კომუნისტებითაა დაკომპლექტებული — კანონიერს. ამაზე მეტი პარადოქსი რა უნდა იყოს, როცა ყოფილი დისიდენტი თავგამოდებით იცავს სისხლით მოსულ უკანონო მთავრობას.

ეს წერილი რითიც დავიწყე, იმით მინდა დავამთავრო: „მრავალი მაგიდა“, რაც არ უნდა შეცდომები ჰქონოდა მას, პოლიტიკური არენიდან არ უნდა გაეძევნათ, როგორც კომპარტიის დამმარცხებელი პარტია.

**მინაწერი:** კინაღამ არ დამავიწყდა ერთი კითხვის დასმა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისადმი. თქვენ ხომ ითხოვდით, ბატონებო, დიქტატორი გამსახურდია უნდა წავიდეს ხელისუფლე-

ბიდან და დემოკრატი მოვიდესო! სადღაა ახლა ის დემოკრატი? წარამარა რომ გაიძახოდით — ჯერ დემოკრატია, დამოუკიდებლობა კი შემდეგო, დაამყარეთ კი ამჟამად დემოკრატია საქართველოში? სადღაა იგი?

## კამათი ვისწავლოთ და არა იარაღზე ხელის გაკვრა

**ჩვენ,** ქართველებმა, პოლიტიკური კამათის კულტურა თუ არ ავიმაღლეთ, მეტად სავალალო ვითარება შეგვექმნება მთელს საქართველოში. ხშირად ვამბობთ და ეს ასეცაა, რომ დღეს საქართველოში აზრთა სხვადასხვაობაა. მახსოვს, ოპოზიცია რომ ბრალდებას უყენებდა კანონიერ ხელისუფლებას, განსხვავებულ აზრს პატივს არ სცემთო. უკანასკნელი 3-4 თვის სურათს თუ გადავავლებთ თვალს, განსხვავებული აზრის ჩახშობა აზრითვე კი არა, ძალადობით ხდება. აუცილებლობა მოითხოვს, რომ ორთავე მხარემ მოამზადოს უბრალო ხალხი იმისათვის, რათა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის კამათი იმართებოდეს მათ შორის, ყოველ ცივილიზებულ სახელმწიფოში რამდენიმე პარტია ებრძვის ერთმანეთს, ძალაუფლებისათვის ეცილებიან ერთურთს, მაგრამ კამათებისა და დებატების შემდეგ ჩვეულებრივ მეგობრებად რჩებიან.

სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდება, ვერა და ვერ ავიმაღლეთ ამგვარ დონეზე, არადა დაბეჯითებით კი ვუმტკიცებთ მსოფლიოს, პოლიტიზირებულები გავხდითო. არა მგონია, პრეზიდენტის მომხრეთათვის პირში წყლის ჩაგუბებისა და მათი დაშინების პერიოდმა დიდხანს გასტანოს. შეცდომები დაუშვა თუ არ დაუშვა პრეზიდენტმა, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სწორედ ის უნდა წინამძღოლად და ბოლოს და ბოლოს ეს უნდა შეიგნოს პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა გაცილებით მცირე ჯგუფმა. კი ბატონო, მე ვეთანხმები ოპოზიციას, როცა ის გვიმტკიცებს, რომ ხელისუფლებაში არა ერთი აგენტი შეიპარა, როცა პრეზიდენტი რამდენიმე თანამდებობის პირის დანიშვნაში შეცდა და ა. შ. მაგრამ ის რატომ ავიწყდებათ, რომ პრეზიდენტს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ერთი ამ-

გვარ უწებლიე შეცდომებს პატიობს იმისათვის, რომ იგი, ვ. ი. პრეზიდენტი მთელი თავისი არსებით იბრძოდა და იბრძვის საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის. მის ამ [illegible] ფარისევლურად, მოჩვენებით იპარავს კაცი, რომელსაც დამოუკიდებლობის გაგონებაც არ სურდა. არა მგონია, ქართველმა ერმა დაიჯეროს ის, რომ, თითქოს ზვიად გამსახურდია დიქტატორი იყოს, ე. შევარდნაძე კი დემოკრატი. ზოგიერთებს ამას ძალით და ხიშტით აჯერებენ, მაგრამ ამ სინდრომსაც გაქარწყლება უწერია და ელის.

რაოდენ სამწუხაროა ის გარემოება, რომ პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთვნენ ტელეჟურნალისტები, კინოს მუსიკოსი და [illegible] ჯერ ჯგუფი, რომლებიც მოჭარბებული ემოციებით დაუფიქრებლად გამოდგნენ. მათ თავი მოიყარეს ტელევიზიასთან, მერე დელეგაცია აფრინეს თბილისის ზღვასთან და იქ დაბინავებულ გვარდიელებს ყველა თხოვეს — არიქა, სვიადი გვხოცავს და გვიშველეთო. ამიტომ დღეს ხომ ყველასათვის გარკვეულია ის, რომ არავის [illegible]-ცვა არ იყო გადაწყვეტილი. სამწუხაროა, რომ გვარდიელები, საქართველოს ნამდვილი დღის რაინდები, ფარისეველთა ანკესზე წამოეგნენ. უკანასკნელ თვეებში შევხვდი რამდენიმე ტელეჟურნალისტს, მწერალს. მათი ემოციები დღესაც დაუოკებელია. არა მგონია, ამ ძიმართულების ხალხმა რაიმე სიკეთე მოუტანოს საქართველოს. სამწუხაროა ისიც, რომ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებშიც აღმოჩნდნენ ემოციამოჭარბებული, ადამიანები, რომელთაც თავიანთი დაუკვირვებელი გამოსვლებით ტელევიზიითა და პრესით დათვური სამსახური გაუწიეს ხელისუფლებას, მის ძიმართ მტრულად განაწყვეს ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელსაც სარგებლობის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის და პრეზიდენტისთვის. თუ გვინდა, რომ ობიექტურები ვიყოთ, ესეც უნდა ვთქვათ. არ მიყვარს გვარების დასახელება, მაგრამ არ შემიძლია არ მოვიხსენიო თ. ქორიძის ყოვლად უტაქტო გამოსვლები როგორც მიტინგებზე, ასევე ტელევიზიითაც. მე ვიცი, რომ ჩემი ეს სიტყვები ოპოზიციას ესიამოვნება, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და აქ მინდა ვკითხო მათ: პრეზიდენტს სახელმწიფო ემართა თუ მიტინგებზე გამომსვლელთათვის მიეყურადებინა? ან კი, საერთოდ მივეცით მას საშუალება იმისათვის, რათა სახელმწიფო ემართა? არ მივეცით! ავურ-დავურიეთ, მერე კი გავყვიროდით, ეკონომიკა ჩაიგდოო. განა მივეცით დრო იმისათვის, რათა ეკონომიკა ემართა?

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ცრუ ბრალდებები, რომლებსაც ოპოზიცია უყენებდა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას. აი, ისინიც: 1. თითქოს ზვიად გამსახურდია ალიანსში ყოფილიყოს ე. შევარდნაძესთან. თუ ვინ აღმოჩნდა ალიანსში ე. შევარდნაძესთან, ეს შემდგომში ცხადზე ცხადი გახდა. 2. ზვიად გამსახურდია ხელს აწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ამას უკიჟინებდნენ ქართველ ერს. როგორც გაირკვა, ესეც ცილისწამება ყოფილა. 3. ზვიად გამსახურდია სუკის აგენტიაო. გახსოვთ ალბათ, სწორედ სუკმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ რომ უღალატეს პრეზიდენტს. 4. ზვიად გამსახურდიას ერთმა მინისტრმა 40 კილოგრამი ოქრო გაიტაცაო საქართველოდან. ესეც ცილისწამება გამოდგა. 5. ბ-ნი ზვიად გამსახურდია აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკას ქმნისო. ესეც ცილისწამება. 6. ბ-ნი ზვიადი კომპარტიასთან ალიანსშიაო. ვინც ამას ამტკიცებდა, სწორედ ის ჩაეხუტა კომპარტიას.

მოდით ყველამ ერთმანეთს ვკითხოთ: რამდენი ცილი უნდა დავწამოთ, რამდენი ცოდვა უნდა ავკიდოთ ამ ერთ კაცს, რომელმაც მთელი თავისი ძალისხმევა და ცხოვრების შეგნებული ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოახმარა?

ამბობენ, პრეზიდენტმა საკადრო პოლიტიკაში შეცდომები დაუშვაო. მე არ ვიცი, ეს მართალია თუ არაა მართალი. ერთი რამ კი შემიძლია გავიხსენო, პირველ ხანებში ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ ეროვნული მოძრაობის ერთგული ჯარისკაცები, რიგითი ხალხი დააწინაურა თანამდებობებზე. მაშინ ოპოზიციამ განგაში ატეხა — აი, ხომ ხედავთ, ერთგულების ნიშნით აწინაურებს ხალხსო. ამის შემდეგ პრეზიდენტმა უპარტიულობის პრინციპით ყოფილი კომპარტიის რამდენიმე წევრი დანიშნა თანამდებობებზე. ახლა ოპოზიციამ ახალი „პრეტენზია" აღმოაჩინა — დახეთ, ზვიად გამსახურდიამ ფუნქციონერ-კომუნისტები დააწინაურაო.

ერთი სიტყვით, ოპოზიცია ყველაფერს უწუნებდა ხელისუფლებას, ტენდენციურად, გამიზნულად, რამაც სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. თუ შეცდომებს ჰქონდა ადგილი ხელისუფლების მხრიდან, განა არ შეიძლებოდა აქვე გვემსჯელა მათ გარშემო, რა საჭირო იყო ყოველდღიურად მოსკოვში სირბილი საჩივლელად. ან კიდევ დასავლეთში დეზინფორმაციის, პრეზიდენტის სახელის გასატეხად ყალბი პროპაგანდის გავრცელება?! თუ მოსკოვში უჩივი საქართველოს. ე. ი. არ გდომებია იმპერიიდან გამოსვლა და ეგ არის. რა უხმაუროდ, ჩუმად გაიპარნენ ბალტიის ქვეყნები

სსრკ-დან. შესაშურია მათი ერთსულოვნება. ბალტიის ქვეყნების ხალხებს გაცილებით მეტი ცივილიზებულობა და შინაგანი კულტურა აღმოაჩნდათ, ვიდრე ჩვენ. აი, ამიტომ მიაღწიეს მათ საწადელს და სამუდამოდ დაემშვიდობნენ სსრკ-ს. ჩვენ კი ჩვენივე ხელით ჩავკალით აკვანში წელიწადნახევრის ბავშვი. ისტორია განმეორდა. 1921 წელს იმპერიამ ქართველის ხელით გაანადგურა აკვნიდან ახლადამოსული ყრმა, 1992 წლის იანვარში ისევ ქართველების ხელით გადაგვიღობა გზა თავისუფლებისაკენ.

განდევნილია საქართველოდან კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი. სამაგიეროდ, პოლიტიკურ არენაზე აქტიურობენ ელდარ შენგელაია, გოგა ხაინდრავა და მისთანანი, ემოციამოჭარბებული კინორეჟისორები, მწერლები და ა. შ. არა მგონია, მათ რაიმე სიკეთე მოუტანონ საქართველოს. არა მგონია, დღევანდელმა არაკანონიერმა მთავრობამ სტაბილიზაციას მიაღწიოს ამგვარი პიროვნებების ერის წინაშე წარდგენით ტელევიზიითა და პრესით.

პარლამენტის სხდომაზე, გახსოვთ ალბათ, პრეზიდენტს წაუყენეს ბრალდება იმის თაობაზე, რომ მან თითქოსდა დიდი უფლებები მიანიჭა საკუთარ თავს. იმაზე კი არავინ დაფიქრდა, რომ სწორედ პრეზიდენტის უფლებების გაძლიერება იქნებოდა სრული გარანტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ამჟამად დე ფაქტო არც პრეზიდენტია, არც მისი უფლებები და სწორედ ამის გამო თუ როგორი საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს ყველასთვის ნათელია. ასე რომ. უფლებები ზვიად გამსახურდიამ საკუთარ თავს კი არ მიანიჭა, არამედ საქართველოს პრეზიდენტს! მაშ, რამ აღაშფოთა მაშინ დეპუტატების ერთი ჯგუფი? შურმა, ტენდენციურმა დამოკიდებულებამ ბ-ნ ზვიადისადმი. — სხვა პასუხი არ მოეძებნება ამ კითხვას.

მოდით, გადავიდეთ გონივრულ პოლიტიკურ კამათზე და თავი მივანებოთ იარაღის სასხლეტზე ხელის გამოკვრას. თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი, თუკი შეგვრჩა ისინი საერთოდ. არიან ერები, რომელთაც საერთოდ არა ჰყავთ და ხელოვნურად ქმნიან ხელმძღვანელებს, წინამძღოლებს. ქართველ ერს კი ჰყავს განათლებული, მაღალი ერუდიციის პრეზიდენტი. მისი დაბრუნების გარეშე ქართველი ერის დამშვიდების სხვა საშუალებას მე პირადად ვერ ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვის რას უშავებს კავკასიური სახლი?

დღეს არაერთი ავტორი ამგვარი არჩევანის წინაშე აყენებს ქართველ ერს, მთელ საქართველოს: ევროპის საერთო სახლი (ინტეგრაცია) თუ კავკასიური სახლი? არის თუ არა საკითხის ამგვარად დასმა სწორი და მართებული? ვფიქრობთ რომ არა!

უპირველესად შევეხოთ ევროპის საერთო სახლში საქართველოს შესვლის იდეას და მის მომხრეებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ევროპის სახლში შესვლა არ გახლავთ რამდენიმე პიროვნების, გნებავთ მთელი პარლამენტის პრეროგატივა, მათი გადასაჭრელი პრობლემა. ამ მასშტაბის ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები ჩვეულებრივად ცივილიზებულ სახელმწიფოებში წყდება რეფერენდუმით და არა ზოგიერთი პიროვნების დიქტატით. ამ ხასიათის რეფერენდუმები ჩატარდა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვაგანაც.

ევროპის საერთო სახლში შესვლაზე უარის თქმა არ ნიშნავს სახელმწიფოს ეკონომიკურ თვითიზოლაციას (რაც ზ. გამსახურდიას და მის მომხრეებს დაბრალდათ). ნებისმიერ სახელმწიფოსთან ეკონომიკური ურთიერთობა ერთია და ინტეგრაციაში გათქვეფა მეორე. ამგვარი გათქვეფა, ჩვენი აზრით დამღუპველია ნებისმიერი მცირე ერისათვის, რამეთუ ეკონომიკური გათქვეფის მომდევნო ეტაპია სულიერი გადაგვარება, რის მაგალითსაც დღეს ბევრი მცირე სახელმწიფო წარმოადგენს. საქართველოს პრეზიდენტი და მისი მხარდამჭერნი ეროვნული სახელმწიფოს აშენების მომხრეები ვართ და არა ეკონომიკური თვითიზოლაციისა. ამ მოსაზრებით ზ. გამსახურდია, როგორც დიდი მწერლის შვილი და თავადაც დიდი პიროვნება, კი არაა ჩვენი კერპი, არამედ მისი იდეა, რომელიც საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას ითვალისწინებს.

წუთით დავუშვათ საპირისპირო მოსაზრების (ევროპის საერთო სახლში შესვლის მომხრეების მოსაზრების) მართებულობა და ვთქვათ, რომ დღეს საქართველოს მართლაც სჭირდება ინტეგრაციაში შესვლა. ისმება კითხვა: ასეთ პირობებშიც ვის რას უშავებს კავკასიური სახლის შექმნა? იგი ხომ მხოლოდ იმისთვის იქმნება, რათა კავკასიელმა ხალხებმა ყველა კონფლიქტი და პრობლემა თავად მოაგვარონ დიდი სახელმწიფოების ჩარევის გარეშე.

განა ცოტა ვიცით იმის მაგალითი, როცა „დიდი გამზავებელი“ თავის სასარგებლოდ ურჩევს საქმეს მცირე ერებს. განა ასე არ გაგვირჩია რუსეთმა ოსურ-ქართული და ქართულ-აფხაზური პრობლემები? თუ როგორ გაგვირჩევს რუსეთი მომავალში კონფლიქტებს, ამასაც დაინახავენ „ვიწრო ნაციონალისტური“ გამოვლინების ყბადაღებული მოწინააღმდეგეები. ევროპის საერთო სახლის სხვა დიდი წევრები განა სარგებლის გარეშე გაგვირჩევდნენ საქმეებს კავკასიელებს? არ გვგონია.

გამომდინარე აქედან, აუცილებლობა და შექმნილი ვითარება მოითხოვს გაძლიერდეს და მობილურ გაერთიანებად ჩამოყალიბდეს კავკასიური სახლი, რომელსაც ზოგიერთმა „გაევროპელებულმა“ ქართველმა კავკასიის ქოხიც კი უწოდა. კავკასიის სახლის უარმყოფელთ ამიხებთ ისლამური ფუნდამენტალიზმის ზეგავლენა, მაგრამ ავიწყდებათ ის რეალობა, რომ საქართველო სწორედ გარშემორტყმულია მუსულმანური სამყაროთი. ეს რეალობაა და მას ვერსად გავექცევით, ეს ერთი და მეორეც: რელიგიური სხვადასხვაობა დღეს არ გამოიწვევს შუღლსა და დაპირისპირებას კავკასიელ ხალხებს შორის, ვინაიდან მათ აკავშირებთ გენეტიკური, ეთნიკური ნათესაობა, ტრადიციების მსგავსება, რაც სიახლოვის, თანამეგობრობის რელიგიაზე ნაკლები ფაქტორი როდი გახლავთ, კავკასიის მუსულმანი ხალხების გადამტერებამ, არა მგონია, რაიმე სიკეთე მოუტანოს ჩვენს ერს, რომელსაც იმედის თვალით შემოსცქერიან თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, გრ. ორბელიანის დროის საქართველოს დარად დღეს ჩვენი სახელმწიფოს ერთ მუჭა წარმმართველ ძალას სულ სხვაგან გაურბის თვალი და გონება. ისინი უარყოფენ ტრადიციულ კავკასიურ ფაფახს და ევროპული კეპის მორგების სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი. ჯერ ერთი, ამას ჩვენებურად ჰქვია „უნახავმა რა ნახაო“ და მეორეც: კავკასიელ ხალხთა ერთობა, მათი გაძლიერება არ ნიშნავს ევროპისკენ მიმავალი გზების ჩაკეტვას, მათკენ არგახედვას. ევროპულ ცივილიზაციასთან წილნაყარობა დიდებული საქმეა, მაგრამ იგი არ უნდა მოხდეს საკუთარის სრული იგნორირების ხარჯზე. კავკასიელ ხალხთა ერთობა, მათი კულტურის შენარჩუნება არ ნიშნავს ევროპაზე უარის თქმას. კავკასიური სახლი კავკასიელ ხალხებში მშვიდობის შენარჩუნების საიმედო გარანტი უნდა იყოს და გვიკვირს, რატომ ებრძვიან ამ იდეას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადაგვარებული გუდავა ერს ჭკუას ასწავლის

მიმდინარე წლის 12 ნოემბრის „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულია ინტერვიუ ედუარდ გუდავასთან, რომელიც კარგა ხანია ემიგრაციაშია და საქართველოს მოწყვეტილია. ჩვენ თავს ვიკავებთ იმისაგან, რომ წინასწარ რაიმე მოსაზრება გამოვთქვათ ამ ინტერვიუზე. თავად გუდავაზე კი ვიტყვით იმას, რომ იგი არასოდეს იცნობდა ქართველი ერის ბუნებას, არც აქ ყოფნისას, და ბუნებრივია, არც ემიგრაციაში. იგი დასავლური ცხოვრების ტრფიალი გახლდათ და საწადელსაც მიაღწია, მის უცხოეთში საცხოვრებლად გადასვლას არც ეროვნული და არც პოლიტიკური მრწამსი ედო საფუძვლად.

ახლა კი მივყვეთ მის მონათხრობს, გავეცნოთ ამ ინტერვიუს. ე. გუდავა ჭკუას გვასწავლის: „თუ საქართველოს სურს მსოფლიოს ქვეყნებთან ინტეგრირება, აუცილებელია დემოკრატიული პროცესები თავისუფალი სახელმწიფოს მსგავსად წარიმართოს“. ჯერ ერთი საქართველოს ინტეგრირება კი არ სურს, არამედ ჩვეულებრივი ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან. გუდავა კი წერს, აუცილებელია დემოკრატიული პროცესებიო, მაგრამ იგი ოდნავ მაინც თუ იცნობს ამ ბოლო 11 თვის საქართველოს, ნეტავ რა ხასიათზე დადგება? აშკარაა, რომ იგი ჩვენში მიმდინარე პროცესებს ან არ იცნობს, ან არ უნდა აღიაროს ის, რა სიშინელეებაც ხდება დღევანდელ საქართველოში. გუდავა მზად არის დაეხმაროს საქართველოს, რათა იგი ყველა სახელმწიფომ ცნოს, ყველა სახელმწიფომ ცნოს პარლამენტად გარდასახული სახელმწიფო საბჭო, რომელმაც ჯერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაილაშქრა, შემდეგ კი აფხაზეთში ყოვლად გაუმართლებელი ომი ატეხა. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ომს გუდავაც აუშფოთებია: „მიუხედავად უსაზღვროდ დაძაბული სიტუაციისა, აფხაზეთის პრობლემას ფრთხილად უნდა მივუდგეთ“. გუდავამ არ იცის, რომ აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გზები სწორედ ზ. გამსახურდიას მომხრეებმა გამოძებნეს, მაგრამ, რაკი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება პრეზიდენტის ჩარევით არის შესაძლებელი, ეს ახალ პარლამენტსა და ე. შევარდნაძეს არ სურთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში ენაღვლებათ უამრავი ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე? გუ-ნა გუდავამ იცის პარლამენტის წევრის თ. ნადარეიშვილის სახალხო განცხადება, ამას იქით ჩვენი და აფხაზების ერთად ცხოვრება არ შეიძლებაო.

ამ პარლამენტარებით აღფრთოვანებული გუდავა, აი, რას გვე-უბნება: „ჩვენმა ორგანიზაციამ თავის დროზე გარკვეული როლი ითამაშა იმაში, რომ თეთრ სახლს გამსახურდიას ხელისუფლების ცნობისაგან თავი შეეკავებინა“. გუდავას, რომელსაც თავი დემოკ-რატად მოაქვს, რა უფლება ჰქონდა ხელი შეეშალა იმ ხელისუფ-ლების ცნობისათვის, რომელიც ხალხმა აირჩია. გამოდის, რომ, როცა გუდავა ამერიკას ეხვეწებოდა გამსახურდიას ხელისუფლებას ნუ ცნობო, ქართველი ერის სახელით ირჯებოდა. ჰქონდა ამ კაცს ამის უფლება? იმაზე კი სდუმს გუდავა, რომ 11 ოქტომბრის არ-ჩევნებში ზ. გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების მომხრეთა უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია და ამდენად მისი სათა-ყვანო ახალი პარლამენტი ერის ნების გამომხატველი კი არაა, არამედ მისი ერთი მცირე ნაწილის. თუ აქაურ ვითარებაში არ ერ-კვევა გუდავა, ჩვენ მხოლოდ ერთ ინფორმაციას მივაწვდით მას: 11 ოქტომბერს დილით, მისი მშობლიური ქალაქის ცენტრალური ბაზრიდან „ამომრჩევლები“ საარჩევნო უბანში „მხედრიონმა“ სროლა-სროლით გარეკა. ასე იყო მთელს საქართველოში, და ახლა „დემოკრატი“ გუდავა მთელს მსოფლიოს ეხვეწება, ახალ პარლა-მენტს მხარი დაუჭირეთო. ნამდვილ პარლამენტს ცილს სწამებდა, ყალბს კი მხარს უჭერს.

ე. გუდავა ხოტბას ასხამს ე. შევარდნაძეს, მას წარსულის შეც-დომებსაც, დანაშაულობებსაც პატიობს, სამაგიეროდ სამშობლო-დან განდევნილი პრეზიდენტისთვის სალანძღავ სიტყვებსაც არ იშურებს, იმაზე კი კრინტსაც არ ძრავს, თუ რა დატრიალდა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში. გუდავა დუმს და არ ახსენებს სამხედრო გადატრიალებას, „დემოკრატთა“ მიერ დახოცილ მომი-ტინგეებს, მანიფესტანტებს, გუდავას არ აინტერესებს და გული არ შესტკივა იმაზე, თუ როგორ „აიღეს“ სამეგრელო ოთხგზის რო-გორ გაძარცვეს იგი, როგორ დაამშიეს ხალხი ამ 11 თვეში, როგ-ორ გადაამტერეს მეზობელი ხალხები „პროდასავლური ორიენ-ტაციის“ შევარდნაძის მეთაურობით.

ერთი სიტყვით გუდავას არაფერი არ აინტერესებს, არაფერი გულთან ახლოს არ მიაქვს, მას უბრალოდ სამძიმრის სიტყვაც არ წარმოსცდენია საქართველოში ამ 11 თვის მანძილზე დახოცილთა მიმართ. გუდავას არაფერი არ აინტერესებს შევარდნაძის ხოტბა-დიდების გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* რასაც ზვიად გამსახურდია ამბობდა, ყველაფერი მართალი გამოდგა.

* კამათი ვისწავლოთ და არა იარაღზე ხელის გაკვრა.

* ვის რას უშავებს კავკასიური სახლი?

* გადაგვარებული გუდავა ერს ჭკუას ასწავლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა